

ჩვენი გიმნაზია

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის და წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ყოველთვიური გაზეთი №4 აპრილი 2016 წ.

გაზეთი გამოდის გიმნაზიის დირექტორის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იეგუდიელის ლოცვა-კურთხევით.

7 აპრილი — ხარება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა

ზაქარიასთან მთავარანგელოზის გამოცხადებიდან მეექვსე თვეს გაბრიელ მთავარანგელოზი გალილეის ქალაქ ნაზარეთში იქნა მივლინებული ქალწულ მარიამთან, რომელიც დაწინდული იყო იოსებზე, დავითის მოდგმის შთამომავალზე. უფლის წინაშე მდგომმა მას ასე მიმართა: „გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“. მარიამი შეძრწუნდა და გაიფიქრა: „ვითა-მე არს მოკითხვაი ესე?“ ხოლო ანგელოზმა უთხრა მას: „ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოვე მადლი წინაშე ღმრთისა და აჰა ესე რა შენ მუცლად იღო და ჰშვე ძე და უწოდი სახელი მისი იესუ“. იგი თანდათან უცხადებს ქალწულს თუ ვინ იქნება მისი მუცლის ნაყოფი: „ესე იყოს დიდ და ძე მაღლის, ეწოდოს და მისცეს მას უფალმა და ღმერთმან საყდარი დავითის, მამისა თვისისაი და მეუფებდეს სახლსა ზედა იაკობისსა, საუკუნოდ და სუფევის მისისაი იყოს დასასრულ“. მარიამის ძეს ღმერთი აღუთქვამს დავითის საყდარს, ანუ ისრაელის სამეფო ტახტს და იაკობის სახლზე, ანუ ისრაელის თორმეტ ტომზე საუკუნო სუფევას. მარადიული მხოლოდ ღმერთია. იაკობის სახლი კი უფლის მხილველი, მორწმუნე ერია, რომელიც თავისი ლოცვით, სულით უფალთანაა შეერთებული. ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელია ქალწულისგან უმამაკაცოდ შობა. ამიტომ ღვთისმშობელი კითხულობს: „ვითარ მე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არ ვიცი?“ ანგელოზი პასუხობს: „სული წმინდაი მოვიდეს შენ ზედა და ძალი და მაღლისა გფარვიდეს შენ“ და ნიშანსაც აძლევს, მისი ნათესავი, მოხუცი ელისაბედი უკვე მეექვსე თვეა, რაც მიდგომილია. ყოვლადწმინდას სასწორით უნდოდა შეტყობა ღვთის ნებისა, ეშინოდა რომ არ შემცდარიყო, გამოწვლილვით შეიტყო, დამორჩილდა და მიენდო უფალს: „აჰა მხევალი უფლისაი, მეყავნ მე სიტყვისაებრ შენისა“, და მეყსეულად შევიდა სულიწმინდა ქალწულის შეუგინებელ ტაძარში და მისი ბუნება განწმინდა. რა იარაღითაც ჩვენი დაცემისათვის იღვაწა ეშმაკმა, იმავე იარაღით გვიხსნა ქრისტემ, თუ ევას საქციელმა ადამის მოდგმას ცრემლი მრავლაგზის დააღინა, ქალწულმა მარიამმა უდიდესი სიხარული მოუტანა. შემთხვევითი არაა, რომ ღვთისმშობელ მარიამს განმანათლებელი ჰქვია. სიბნელეში მყოფ კაცობრიობას მის მიერ გამოუბრწყინდა მზე სიმართლისა და მორწმუნეთა გონებანი განანათლა.

უდიდესი საუფლო დღესასწაული, რომელსაც ძვ. სტილით 25 მარტს, ხოლო ახ. სტილით 7 აპრილს დღესასწაულობს წმინდა ეკლესია ხარება ეწოდება, რადგან ამ დღეს არა მხოლოდ ყოვლადწმიდა მარიამს, არამედ მთელ კაცობრიობას ეხარა, რომ სახიერმა ღმერთმა თავის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანი სიკვდილის და ცოდვის საიდუმლო ტყვეობისათვის ვერ გასწირა და მისი ეშმაკის მონობისაგან გამოსყიდვა გადაწყვიტა. ეს დღე არის დასაბამი, „თავი ჩვენი ცხონებისა და გამოჩინებათა საუკუნიდგან დამალულისა საიდუმლოსა“.

მოამზადა გიორგი ბუჩუკურმა.
გიმნაზიის VIII კლ. მოსწავლე

24 აპრილი — ბზობა, ანუ დიდებით შებრძანება იესო ქრისტესი იერუსალიმში

ერთხელ, როცა ებრაელების პასექი მოახლოვდა, იესო ქრისტე მივიდა ბეთანიაში. აქედან მან გაგზავნა ორი მოწაფე მახლობელ სოფელში და უთხრა: „იქ იპოვით დაბმულ ვირსა და კვიცსაო, ახსენით და მომგვარეთო: თუ პატრონმა რამე გითხრათ, უთხარით, რომ უფალი ითხოვს-თქო“. მოწაფეები მართლაც ასე მოიქცნენ. მოწაფეებმა გადააფარეს სამოსელი კვიცსა, ქრისტე ზედ შესვეს და წავიდა იგი იერუსალიმში.

როცა ხალხმა გაიგო, იესო მოდისო, მაშინვე სიხარულით მიეგება მას და დიდი პატივით მიიღო: ზოგი ტანისამოსს უფენდნენ გზაზე, ზოგი ხის ტოტებს. ამას გარდა ხალხი გალობდა: „ოსანა (ცხოვრება) ძესა დავითისასა. კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა“.

როცა ქრისტე ქალაქში შევიდა, ფარისევლებმა მოინდომეს მისი შეპყრობა, მაგრამ ხალხისა ეშინოდათ და ვერარ გაბედეს. ხალხმა იცოდა, რომ ეს იყო ის, რომელმაც ოთხი დღის მკვდარი ლაზარე აღადგინა.

ბზობის დღესასწაული მეუფე იუგუდიელთან ერთად

გთხოვთ, გაუფრთხილდეთ გაზეთს მასში დაბეჭდილი ტექსტის და ფოტომასალის გამო.



ქართული მარტო ენაა?..
ქართული ქართველთ რწმენაა!
ღმერთია!
ბედისწერაა!
ზღვა როა, —
იმოდენაა.

მუხრან მაჭავარიანი

„დედაენის“ დღესასწაული გიმნაზიაში

წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია პანსიონში 14 აპრილს მე-3 კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ეკა სამქანაშვილი) „დედაენის“ დღესთან დაკავშირებით ლამაზი სადღესასწაულო ღონისძიება ჩაატარეს. აღსანიშნავია, რომ მასწავლებელს ბავშვები განსაკუთრებით დაუხელოვნებია მხატვრულად კითხვის ოსტატობაში.

არანაკლებ საინტერესო იყო ღონისძიების მეორე ნაწილი. გიმნაზია — პანსიონის ანსამბლ „ღელოვან“-ის წევრებმა (ხელმძღვანელი კონსტანტინე ქავთარაძე) საინტერესო პროგრამა წარმოადგინეს. წარმატებას ვუსურვებთ ანსამბლს და მის ხელმძღვანელს.

დედაენის დღე

14 აპრილი დედაენის დღეა. 1978 წელს საქართველოს მოსახლეობამ მასობრივი გამოსვლები მოაწყო, რუსთაველის გაშხირზე 100 000-მდე ქართველი შეიკრიბა, რაოდენ დიდი თავგანწირვის ფასად დაუჯდა ქართველ ერს ის, რომ საქართველოს კონსტიტუციაში სახელმწიფო ენად გამოცხადებულიყო არა რუსული, არამედ ქართული ენა.

რუსთაველისა და თამარის ენა, ილიასა და აკაკის, სულხან საბასი და დავით გურამიშვილის ენა. ჩვენ უნდა მოვუაროთ და გავუფრთხილდეთ მას, რათა ისმოდეს ენა ქართული, რათა აღსდგეს ივერია, რათა გაბრწყინდეს ის ენა, რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა, ქეთევან მარად ღმერთს ადიდებდა და ნინო წმინდა ღვთისასა მცნებას მისგან რჩეულ ერს უქადაგებდა.

ქართველი ხალხი სათუთად უვლის და პატრონობს თავის ეროვნების ბურჯს, მშობლიურ ენას. მეტიც, ქართველმა ხალხმა წიგნს დედაენას ძეგლი დაუდგა. ეს საქართველოში მოხდა. ეს ქართველებმა მოიფიქრეს, ეს ქართული ენის უკვდავსაყოფადაა.

მსოფლიოში 2800-მდე სამეტყველო ენაა, ანბანი კი მხოლოდ თოთხმეტია. მათგან ერთ-ერთია ქართული ანბანი. ქართული ენა ერთ-ერთი უძველესი ენაა. ის არა მარტო უძველესი, არამედ უმდიდრესი და უაღრესად განვითარებული ენაა.

ქართული ენა მსოფლიოში ყველაზე რთული ენების ხუთეულში მოხვდა. მსოფლიოს 5 ყველაზე ლამაზ დამწერლობათა შორის ქართული ენა მე-3 ადგილზეა.

დაწყებითი კლასის მასწავლებლის როლი განსაკუთრებულია ბავშვის დედაენით აღზრდის საქმეში. ჩვენ გვაკისრია გზამკვლევის როლი — ენის დაცვის უდიდესი მისია. ბავშვებს დღენიადაგ ჩავაგონებთ, რომ ამ ქვეყნად მთავარია „ენა, მამული, სარწმუნოება“.

მინდა მთავარეპისკოპოს თადეოზის ლექსით დავასრულო ქართული ენავ

დალოცვილი გაქვს ფესვი და ძირი,
მარადიული აზრის შვილი ხარ,
შენით ვმღერით და შენითვე ვტირით,
სირცხვილი ქართველს თუ არ უნთიხარ.
ტკბილ სურნელი აქვს შენს ხმებს და ფერებს,
რა რიჟრაჟული ღიმილის ფენა,
შოთას, ვაჟას და ილიას შემდეგ
მე რა ვთქვა, ჩემო ფრთიანო ენავ.

მოამზადა III კლასის მასწავლებელმა
ეკა სამქანაშვილმა

„დედაენის“ ზეიმი პირველ კლასში

პირველკლასელთა პირველი სახელმძღვანელო „დედაენა“ ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნია მათ ცხოვრებაში.

როდესაც პირველ კლასში მოსწავლეები შემოდიან, ჩვენ გვინდა არა მხოლოდ შევასწავლოთ, არამედ შევაყვაროთ კიდეც წერა-კითხვა.

კითხვის მიმართ დადებითი დამოკიდებულება სწორედ პირველი კლასიდან, პირველი სახელმძღვანელოდან იღებს სათავეს.

14 აპრილს ქართველი ხალხი აღნიშნავს „დედაენის“ დღეს.

ჩვენც წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის პირველკლასელებმა გადავწყვიტეთ საზეიმო განწყობა შეგვექმნა და ღია გაკვეთილი მიგვეძღვნა ამ დღისთვის. მშობლებსა და დამსწრე სტუმრებს წავუკითხეთ ლექსები და ლამაზი სიტყვები „დედაენაზე“, შევასრულეთ მრავალი სახალისო და საინტერესო დავალებები.

გილოცავთ „დედაენის“ დღეს, წიგნის დასახელება ხომ სიტყვა „დედას“ შეიცავს, ქართველთათვის კი „დედა“ მამოძრავებელ ძალასთან იგივდება. „დედა ენა არის ენა სულისა, უცხო ენა კი — ენა მეხსიერებისა“. *იაკობ გოგებაშვილი*

მაია ფიცხელაური
გიმნაზიის I კლასის მასწავლებელი.

ინტელექტუალური კონკურსი გიმნაზიაში — რა, სად, როდის?

გაზეთ „ჩემი გიმნაზიის“ წინა ნომრებში დაიწერა სტატიები თემაზე „ნუ დავაბინძურებთ გარემოს“, სადაც რაიონის სკოლების გამარჯვებულთა შორის გიმნაზია-პანსიონის მოსწავლე მარიამ სუჯაშვილმა შეძლო საპრიზო ადგილის მოპოვება და დაჯილდოვდა.

აპრილის თვეში ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის და მეგობართა ასოციაციის თანადგომით წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონში კვლავ მოეწყო ინტელექტუალური კონკურსი — რა, სად, როდის?, რომლის ძირითადი მიზანი იყო დაცული ტერიტორიების, მათ შორის ეროვნული პარკის, მისი ბიომრავალფეროვნებისა და ზოგადად გარემოს დაცვის შესახებ მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება.

ერთმანეთს ეჯიბრებოდა გიმნაზია-პანსიონის მოსწავლეებით დაკომპლექტებული სამი გუნდი.

გამარჯვება მოიპოვა თამაზ ტატიშვილის გუნდმა, რომლის წევრები არიან მარიამ წიკლაური, მარიამ ბედოშვილი და არსენ ჩქარეული.

ეკოსაგანმანათლებლო დაწესებულება ყველა გამარჯვებულ გუნდს გიმნაზიის მოსწავლეებთან ერთად გააგზავნის შემეცნებით ექსკურსიაზე.

ჩემი მოძღვარი

ვსწავლობ წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიაში. აქ ყველა ზრუნავს ჩვენს სულიერ აღზრდაზე. ჩემი მოძღვარი არის მამა ნიკოლოზი, ღმერთმა გააძლიეროს. ის ჩვენთვის ლოცულობს დღე და ღამე. მამა ნიკოლოზი არის ჩემი სულიერი მამა, სულიერი წინამძღოლი, ღვთისა და ხალხის მსახური. მამა ნიკოლოზი გვასწავლის ლოცვებს, აღსარების ჩაბარებას და ზიარების საიდუმლოს.

მე ძალიან მიყვარს ჩემი მოძღვარი. ის არის ძალიან კეთილი და მოსიყვარულე, დამრიგებელი და მიმტევებელი. როდესაც რაღაცას ვაშავებ, ასეთ დროს ის მაკეთებინებს მეტანიებს და ვამბობ „მამაო ჩვენოს“ ლოცვას. ამით მპატიობს ჩემს ცოდვას.

მე ვარ ქრისტიანი, ნათელღებული, ჩემი ნათლობის ღვთიური სახელია იოანე.

მამა ნიკოლოზი არის ჩემი ოჯახისა და ჩემი ბებოს მოძღვარიც.

მიყვარხარ, მამაო ნიკოლოზ, იყავი ბედნიერი და ჯანმრთელი.

იოანე (ვაკო) ხუციშვილი
გიმნაზიის III კლასის მოსწავლე

პოეზიის საღამო სტეფანწმინდის ბიბლიოთეკაში

20 აპრილს ყაზბეგის ცენტრალური ბიბლიოთეკის ინიციატივით ჩატარდა პოეზიის საღამო. მოწვეულები იყვნენ მოხევე პოეტი ქალბატონები: გიული ჩქარეული და მანანა გელაძე. შეხვედრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

შეხვედრა გახსნა ხვიჩა არაბულმა, მოკლედ მიმოიხილა პოეტი ქალბატონების შემოქმედება, მათი ღვაწლი და დამსახურება.

„ჩემი გიმნაზიის“ რედაქტორმა, ქალბატონმა მანონი გომიაშვილმა დამსწრეთ გააცნო პოეტების ბიოგრაფიული ცნობები.

წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიიდან მიწვეულები ვიყავით ჩვენი სკოლის მოსწავლეები. ლექსო ფიცხელაურისა და ნიკოლოზ ქუშაშვილის წაკითხულმა ლექსებმა პოეტებს სიხარულის ცრემლი მოჰგვარა.

ფანდურზე შესრულდა ხალხური სიმღერები. თვითონ პოეტებმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები. ვისურვებდი, რომ ასეთი ღონისძიებები ხშირად ტარდებოდეს. გვინდა, რომ უფრო ახლოს გავიცნოთ ხევის ღირსშესანიშნავი ადამიანები.

მოამზადა თემო ბუჩუკურმა
გიმნაზიის IX კლ. მოსწავლე

მეუფე იეგუდიელს უდიდესი პატივისცემით

ფიქრში ჩაძირული მთების
ხიბლი აჯადოებს მნახველს,
არწივთ გაუშლიათ ფრთები —
ეს რა საოცრება ვნახე.
მუდამ ჩაფიქრებულ მყინვარს,
მხრებზე მოუხურავს ნისლი,
აქ ვგრძნობ — ვინ ვიყავი, ვინ ვარ,
აქ ვგრძნობ — ნატვრა ფერს რად იცვლის.
მესმის საზღვრისპირა ტაძრიით —
ცისკენ გაფრენილი ლოცვა,
მტკივა, ხევს რომ ვხედავ დაცლილს,
მახრჩობს ჭინჭრის ხღურბლზე ცოცვა.
გერგეტს ზარი რეკავს ცისკრის,
ცრემლი დაუღვრია სანთელს,
აქ ხართ, აქ ლოცულობთ, ფიქრით —
უფალს აქ ავედრებთ ქართველს.
იმედს გაუნედლეთ ფესვი,
მთიელთ დაუბრუნეთ რწმენა,
თქვენგან ანდერძივით გვესმის,
ჭირთა როგორ შევძლოთ თმენა.
თქვენს თავს მეუფეო, ჩემს ხევს,
უფალს შევავედრებ ერთად,
ხატთან ლოცვად გაწვდილ ჩემს ხელს —
თქვენი ღღეგრძელობა ეთქვას!

გიული ჩქარეული

ხელოვნების შემსწავლელი წრე გიმნაზიაში

ფერწერა ფერის ხელოვნებაა, სათქმელის ფერით და ნახატით გადმოცემა, შემოქმედის სულის გამოძახილი. ნახატით შეგვიძლია ამოვიცნოთ მხატვრის სულიერი განწყობილება, მისი ხასიათი, ტკივილიც კი. ბავშვის მიერ შექმნილი ნახატი ფსიქოლოგიური ტესტია, რომელშიც აისახება განწყობა, სურვილი, ტკივილი თუ სიხარული. ხატვა-ფერწერა ბავშვისათვის განტვირთვის და ემოციის გადმოცემის საშუალებაცაა.

სწორედ ამ შემართებითა და განწყობით 2015 წლის 1 ოქტომბრიდან კვლავ დავუბრუნდი ჩემს საქმიანობას გიმნაზიაში. ვარ ფერწერა-ხატვა-კომპოზიციისა და ძერწვის სპეციალისტი.

ვფიქრობ, რომ ვაღწევ მიზანს, ჩემი მუშაობა ნაყოფიერია. გამოვავლინე ბავშვები, რომელნიც კარგად ხატავენ, ძერწავენ, აქვთ აღქმის განსაკუთრებული უნარი. გამოვარჩევდი რობიკო სუჯაშვილს, რომელსაც უკვე აქვს თავისი ხედვა და სტილი.

ჯგუფი ორადაა გაყოფილი. პატარა ჯგუფში ირიცხება ჩვიდმეტი მოსწავლე. დიდი ჯგუფი თხუთმეტი ბავშვისაგან შედგება.

ძერწვის ხელოვნებაში განსაკუთრებულები არიან: ლევან თექთურმანიძე, რომელიც ასევე შესანიშნავად ხატავს, ნიკოლოზ გელაშვილი და დავით ტუჩაშვილი. პორტრეტებს ტუშითა და პასტელით კარგად ასრულებს ანა ხიბლაშვილი.

განსაკუთრებული ფანტაზიითა და ფერთა კარგი შეხამებით მუშაობენ: მარიამ სუჯაშვილი, თორნიკე სუჯაშვილი, გიორგი ბუჩუკური, ციკო ფიცხელაური და დავით ოდიშვილი.

წარმატებული იყო და მნახველის მოწონება დაიმსახურა სასწავლო გამოფენამ, რომელშიც თავმოყრილი იყო როგორც საახალწლო ნამუშევრები, ასევე საქართველოს უძველესი ტაძრების ნახატები.

ამჟამად ვმუშაობთ სააღდგომო თემაზე — სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ მოვახერხეთ დედის დღისადმი მიძღვნილი ნახატების გამოფენა. ამიტომ ეს ნახატები აღდგომის თემაზე შესრულებულ ნახატებთან ერთად გამოიფინება.

თვალსაჩინოებისათვის საჭიროა ბავშვების გაყვანა ბუნების წიაღში, გვინდა გავაკეთოთ ესკიზები, ჩანახატები.

ბავშვების წახალისების მიზნით, მეუფე შეგვპირდა ექსკურსიის მოწყობას სამხატვრო გალერეაში.

ჩემი მუშაობის გამართლება იქნება ის, რომ გიმნაზიის მოსწავლეებიდან ერთ-ერთი მაინც დიდ შემოქმედად და მხატვრად აღვზარდო.

ლონდა მაისურაძე
გიმნაზიის ხელოვნების შემსწავლელი წრის ხელმძღვანელი

„ყველაზე ჭკვიანი“

აპრილის თვე ღონისძიებების სიმრავლით აღინიშნა გიმნაზიის ცხოვრებაში. გიმნაზიის თანამშრომლის დიანა კალმახელიძის ინიციატივით კლასებს შორის ხშირად ეწყობა ინტელექტუალურ-შემეცნებითი შეჯიბრი „ყველაზე ჭკვიანი“. ამ ღონისძიებით ბავშვებს სურვილი უჩნდებათ უკეთ ისწავლონ, მეტი წაიკითხონ და შეიმეცნონ, რომ გამარჯვებულები გამოვიდნენ.

გიმნაზიის III კლასის მოსწავლეებს შორის შეჯიბრში ყველაზე ჭკვიანი“ პირველი ადგილი დაიკავა მარიამ პაპიაშვილმა. მეორე ადგილზე გავიდა ლაშა-გიორგი ოდიშვილი, მესამე ადგილზე — ედუარდ მარსაგიშვილი.

გიმნაზია-პანსიონის მე-4 და მე-5 კლასებს შორის ინტელექტუალურ კონკურსში პირველ ადგილზე გავიდა ნიკოლოზ ქუშაშვილი, მეორეზე — ნიკოლოზ გელაშვილი, მესამე ადგილი დაიკავა ლევან ჯამარჯაშვილმა.

კიდევ უფრო საინტერესო გამოდგა შეჯიბრი შედარებით უფროს კლასებლებს შორის. მე-6, მე-7 კლასის მოსწავლეებმა ასაკთან შედარებით რთულ შეკითხვებს წარმატებით გაართვეს თავი.

შეჯიბრის დასასრულს გამარჯვებულთა შორის პირველი ადგილი დაიკავა VI კლასის მოსწავლემ თამუნა ქუშაშვილმა, მეორე ადგილზე გავიდა VI კლასელი დაჩი კაზალიკაშვილი, მესამე ადგილზე — VII კლასელი ქრისტინე ქუშაშვილი.

ყველა კლასის გამარჯვებული დაჯილდოვდა ფასიანი საჩუქრებით. გაზეთის სამუალებით ვულოცავთ მათ გამარჯვებას.

მოამზადა გიმნაზიის VII კლასის მოსწავლე
ანა ნადიბაიძემ

რედაქტორი მანონი გოგიაშვილი	სარედაქციო კოლეგია: არქიმანდრიტი ნიკოლოზ ღლონტი, ციცინო ღუდუშაური, ნინო თურქიაშვილი, მარიამ ფიკლაური, თემო გუჩუკური.	მის. სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია-პანსიონი